დანართ #1

სსიპ - გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის საკონფერენციო და საგამოფენო დარბაზის - „Ars Georgica“ გამოყენების წესი

დარბაზების გაქირავების მიზანი:

საკონფერენციო დარბაზების გაქირავების მიზანია, ხელოვნების დარგში ხელი შეუწყოს საქართველოში რეგიონული და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების, კონგრესების, ფორუმების, სიმპოზიუმებისა და სემინარების ჩატარებას, ინფორმაციის გაცვლასა და გამოცდილების გაზიარებას, სამეცნიერო კვლევების განვითარებას, ქართველ მეცნიერთა შრომების პოპულარიზაციას საერთაშორისო ჟურნალებსა და სამეცნიერო კრებულებში, მსოფლიო პროცესებში მეცნიერთა ინტეგრირებას.

საგამოფენო დარბაზის გაქირავების მიზანია, საქართველოში მცხოვრებ ასევე საზღვარგარეთ მცხოვრებ როგორც ქართველ, ასევე უცხოელ ხელოვანებს ხელი შეუწოს მათი ნამუშევრების ფართო საზოგადოებისთვის წარმოჩენაში და პოპულარიზაციაში.

გაქირავების დღიური საფასური:

საკონფერენციო დარბაზი

წიგნის პრეზენტაცია - 100 ლარი

საკონფერენციო სხდომა - 200 ლარი

საგამოფენო დარბაზი **„Ars Georgica“***:*

ა) პერსონალური გამოფენა - 200 ლარი

ბ) ჯგუფური გამოფენა - 300 ლარი

გამოფენის მოწყობის წესი

1. გამოფენის მოწყობა შეუძლიათ საქართველოში რეგისტრირებულ ორგანიზაციებს და კერძო პირებს, ასევე საზღვარგარეთ მცხოვრებ როგორც ქართველ, ასევე უცხოელ ხელოვანებს.
2. დარბაზი დაეთმობა როგორც ფერწერულ და გრაფიკულ ნამუშევრებს, ასევე ქანდაკების, დეკორატიულ-გამოყენებით ხელოვნების ნიმუშებს, ფოტო, ინსტალაცია, მედია-არტი და სხვა შემოქმედებით ღონისძიებებს.
3. გამოფენების მოწყობის გრაფიკს განიხილავს და ადგენს გ. ჩუბინაშვილის სახ. ცენტრის საგამოფენო ჯგუფი და ამტკიცებს სამეცნიერო საბჭო.

4. მხატვარს ცენტრი სთავაზობს საგამოფენო სივრცეს; საჭიროების შემთხვევაში დროებით სარგებლობაში უთმობს ინვენტარს (მოლბერტები, ტუმბოები, საკიდები) ინვენტარით სარგებლობა უნდა შეთანხმდეს წინასწარ და აისახება დაქირავების ფინანსურ ნაწილშიც.
5. ცენტრი არ ერევა ექსპოზიციის მოწყობაში.
6. გამოფენის გახსნის თარიღსა და დროს დამქირავებელი აფიქსირებს განცხადებაში.
7. ექსპოზიციის გახსნა და შემდგომ დღეებში ნამუშევრების გაცნობა, დამთვალიერებელს შეეძლება სამუშაო დღეებში - დღის 11 საათიდან - 18 საათამდე.
8. გამოფენის გახსნის დღიდან, სამუშაო საათებში დამქირავებელი უზრუნველყობს ექსპოზიციის უსაფრთხოებას.
9. თუ დამქირავებელს გამოფენის გახსნა და ექსპოზიციის დათვალიერება სურს არასამუშაო დღეებსა და საათებში, უნდა მოხდეს წინასწარი შეთანხმება და ეს აისახება დაქირავების ფინანსურ ნაწილშიც.
10. ექსპოზიციის მოწყობისა და დემონტაჟისათვის გათვალისწინებულია 2 დღე (1) ექსპოზიციის აწყობა, (2) დაშლა და სივრციდან გატანა. საგამოფენო ნამუშევრების ტრანსპორტირებს უზრუნველყოფს დამქირავებელი).

გამოფენის მოწობის მონაწილეობისთვის საჭირო დოკუმენტაცია:

1. ხელოვანის სამოტივაციო წერილი
2. პროექტის კონცეფცია (ქართულ ენაზე)
3. დაგეგმილი გამოფენის შინაარსის აღწერა არაუმეტეს ერთი გვერდისა
4. საექსპოზიციოდ განსაზღვრული ნამუშევრების ამსახველი ფოტო ან ვიდეო მასალა
5. მხატვრის cv და პორტფოლიო
6. პირადობის ასლი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტა, ბმული სოციალურ ქსელში (არსებობის შემთხვევაში)

საკონფერენციო დარბაზის დაქირავების წესი:

1. კონფერენციის მოწყობა შეუძლიათ საქართველოში რეგისტრირებულ ორგანიზაციებს და კერძო პირებს, ასევე საზღვარგარეთ მცხოვრებ როგორც ქართველ, ასევე უცხოელ პირებს.
2. კონფერენციის ჩატარება შესაძლებელია 09:00 საადითან 18:00 საათამდე.
3. წერილობითი განცხადება ჩასატარებელი კონფერენციის შესახებ (არა უმეტეს 4 გვერდისა) უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

   ა) კონფერენციის სტატუსი (ლოკალური ან საერთაშორისო);

   ბ) თემატიკა;

   გ) ჩატარების თარიღი;

   ზ) რამდენი მომხსენებელი იღებს მონაწილეობას (უცხოელი და ქართველი);

   თ) სამუშაო ენები;

   ი) სამუშაო რეგლამენტი.

ვადები:

1. განაცხადი გამოფენის გამართვის თაობაზე მიიღება ღონისძიების განხორციელებამდე 60 კალენდარული დღით ადრე.
2. განაცხადი კომფერენციის ან და წიგნის პრეზენტაციის გამართვის თაობაზე მიიღება ღონისძიების განხორციელებამდე 30 კალენდარული დღით ადრე.

განცხადების მიღება:

განცხადება მიიღება სახელწოდებით: „გამოფენა მხატვრებისთვის", ,,სამეცნიერო კონფერენცია'' და ,,წიგნის პრეზენტაცია"

ელ.ფოსტა: g_ch_centre@yahoo.com; Mariam_gachechiladze@hotmail.com

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით სამუშაო საათებში: 2 99 05 88